ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

ნავთობპროდუქციის (საწვავის)სახელმწიფო შესყიდვისშესახებ

ქ. თბილისი27.08.2012 წ

1. ერთი მხრივ, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ს/კ 404391136 (შემდგომში-„მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისიკორპორატიული გაყიდვების სამსახურის უფროსის იოსებ ქარსელაძის სახით და, მეორეს მხრივ, შპს „ენგურჰესი“ ს/კ251716371(შემდგომში-„შემსყიდველი ორგანიზაცია“) წარმოდგენილი მისი ფინანსური დირექტორის ვალერიან კანკიას სახით, „სახელმწიფო“ შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის)კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:

2. <u>ხელშეკრულების საგანი:</u> - ტალონური სისტემით საავტომობილო საწვავის კერძოდ: *რეგულარი (არანაკლებ 93, მინიმუმ ევრო 3), პრემიუმი (ოქტანობა არანაკლებ 95), დიზელი (PPM 50 და მეტი) და დიზელი (PPM 50 და ნაკლები) ნასყიდობა.*
3. <u>ხელშეკრულების საერთო ღირებულება</u>- შეადგენს: 37866,60 (ოცდაჩვიდმეტიათას რვაას სამოცდაექვსი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი დღგს ჩათვლით. ერთი ლიტრი *რეგულარი (არანაკლებ 93, მინიმუმ ევრო 3) ის ფასი შეადგენს 2 ლარი 16 თეთრს,* ერთი ლიტრი *პრემიუმი (ოქტანობა არანაკლებ 95) ის ფასი შეადგენს 2 ლარი 26 თეთრს, ერთი ლიტრი* დიზელი (PPM 50 და მეტი) ფასი შეადგენს 2 ლარი და 11 თეთრს და ერთი ლიტრი დიზელი (PPM 50 და ნაკლები) ფასი შეადგენს 2 ლარი და 28 თეთრს.

4. <u>მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით:</u> *რეგულარი (არანაკლებ 93, მინიმუმ ევრო 3) 7400 ლიტრი, პრემიუმი (ოქტანობა არანაკლებ 95) 700 ლიტრი, დიზელი (PPM 50 და მეტი)–7460 ლიტრი და დიზელი (PPM 50 და ნაკლები) 2000 ლიტრი.*

PDF processed with CutePDF evaluation edition www.CutePDF.com

5. **„შემსყიდველი ორგანიზაციის" მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინასწარ.** მიმწოდებლის მიერ ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ დროსა და ადგილას.

6. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.
7. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 2012 წლის 31აგვისტოს ჩათვლით.**
8. „შემსყიდველი ორგანიზაცია" და „მიმწოდებელი" ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და „მიმწოდებლის" საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.
9. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ „შემსყიდველ ორგანიზაციაზე" გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და „მიმწოდებელი"თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. „შემსყიდველ ორგანიზაციაზე" გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.
10. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან 2 ეგზემპლიარი გადაეცემა „შემსყიდველ ორგანიზაციას", ხოლო ერთი „მიმწოდებელს".

**მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:**

**შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია"**
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი,ძველითბილისის რაიონი, დ.აღმაშენებლის # 154
საიდენტიფიკაციოკოდი: 404391136
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"-ს ც/ფ
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის # GE62BG0000000876831000
ბანკი: სს „თიბისიბანკი"-სც/ფ
ბანკისკოდი: TBCBGE22
ანგარიში # GE05TB7538836020100001

**შპს „ენგურჰესი"**
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისის ვაკის რაიონში / ჭავჭავაძის გამზ. 50
საიდენტიფიკაციო კოდი: 251716371
ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიში # GE59PC0173600100015015

**„მიმწოდებლისსახელით,**
ი. ქარსელიძე

**„შემსყიდველი ორგანიზაციის" სახელით,**
ვ. კანკია